საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთავარსარდალი

მთავარსარდალი, ჯარების (ფლოტის, ავიაციის), აგრეთვე შეიარაღებული ძალების ცალკეული სახეობების სარდალი საომარი მოქმედებების ერთ-ერთ რომელიმე უბანზე ან სტრატეგიულ მიმართულებაზე. წინათ მ-ს ნიშნავდნენ მთელი მოქმედი არმიის ხელმძღვანელად, ფრონტების გაჩენის შემდეგ კი - მხოლოდ ფრონტის მ-ად. მას ექვემდებარება შტაბისა და შეიარაღებული ძალების სახეობის ოპერატიული გაერთიანების სარდლობა. მ-ის საქმიანობას კოორდინაციას უწევს უმაღლესი მ. საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის (1918-21) კანონმდებლობით მშვიდობიან პერიოდში მ-ის თანამდებობა არ არსებობდა, ომის დროს კი მთავრობის საგანგებო დეკრეტით ინიშნებოდა და სრული თავისუფლებით სარგებლობდა. საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის ჯარების მ-ები იყვნენ ა. გედევანიშვილი, გ. კვინიტაძე და ი. ოდიშელიძე.

იხ. აგრეთვე სტ. *ამირსპასალარი*.

ლიტ.: ბ ა ხ ტ ა ძ ე მ., 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, თბ., 2013; კ ვ ი ნ ი ტ ა ძ ე გ., მოგონებები, წგ. -_2, თბ., 1999.